პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

კვირა, 5 ოქტომბერი 1924 წ.

წელიწადი მეოთხე

ფასი 3 კაპ.

წითელი არმიელი

№ 616 1 და 2 ქ. მ. დ. პოლიტ-განების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ევანგულოვის ქუჩა საველე ელ. 16

განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც' ნომპარელის სტრიქონზე სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

ვემზადოთ წითელ არმიელთა კონფერენციისათვის.

უპარტიო მოქალაქეთა კონფერენციას საბჭოთა ხელისუფლება და კომუნისტური პარტია დიდი ყურადღებით ექცევა.

უპარტიო კონფერენციებს ვიწვევთ ჩვენ, რათა მშრომელ ფართო მასასთან ერთად გავარჩიოთ ჩვენი შინაური და გარეშე მდგომარეობა.

გამოვიმუშაოთ ზომები შემდეგი მუშაობისათვის და საერთო ძალით ვეცადოთ გავამკვიდროთ მუშურ-გლეხური სახელმწიფო.

უპარტიო კონფერენციები ეს ერთი მთავარი საწინდართაგანია სოფლისა და ქალაქის მჭიდრო კავშირისათვის.

ჩვენი წითელი არმია მშრომელი მასის ხორცი ხორცთაგანი და სისხლი სისხლთაგანია. იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული სოფლის და ქალაქის გლეხობასთან.

თვითეული წითელ-არმიელი არის სრულუფლებიანი მოქალაქე.

იგი ვალდებულია საბჭოთა აღმშენებლობაში მიიღოს მონაწილეობა ისე, როგორც სხვა დანარჩენი მოქალაქენი.

ამიტომ არმია არ სდგას საბჭოთა ხელისუფლების შინაურ და საგარეო მუშაობის გარეშე. პირიქით მხურვალე მონაწილეობას ღებულობს ამ საკითხების მოგვარებაში.

რა საკითხები გაირჩევა კონფერენციაზე.

პირველყოვლისა კონფერენცია შეეხება ჩვენს შინაურ და გარეშე მდგომარეობას.

წითელ-არმიელთა წარმომადგენლები მოისმენენ და გაეცნობიან ჩვენს საერთაშორისო მდგომარეობას: რა ხელშეკრულებები დაიდვა და რა სახით, ვინ გვიცნო; რა დამოკიდებულებაში არიან ჩვენდამი ბურჟუაზიული ქვეყნები.

რა მდგომარეობა გვაქვს შიგნით; რა გვიჭირს და რა გვილხინს.

ყველა ეს საკითხები გაირჩევა იმიტომ, რომ თვითეულმა წითელ-არმიელმა ნათლად იცოდეს საბჭოთა ხელისუფლების ვითარება, შეიტანოს ამ საქმიანობაში თავისი აზრი და შესწორებანი.

გარდა ამისა კონფერენცია გაარჩევს არმიის შინაურ საკითხებსაც.

ასეთი საკითხები ჩვენ ბევრი გვაქვს. მთავარია სამხედრო მეცადინეობის წარმოება და სამეურნეო საქმის მოგვარება.

კონფერენციაზე უეჭველად ანგარიში უნდა იქნეს წარმოდგენილი, როგორ ისარგებლა -ჯარმა წასული საბანაკო დგომით.

რა მიხწევანი გააკეთა სამხედრო დარგში, რა ვერ შესძლო, რა შესწორებანი და დამატებანია საჭირო და სხვა მრავალი.

კონფერენციამ ხაზი უნდა გაუსვას ძველი წითელ-არმიელების მნიშვნელობას ახალწვეულების გაწრთვნის და საზოგადოთ სამხედრო სულით აღჭურვის საქმეში.

ემზადეთ კონფერენციისათვის. როგორც ხედავთ კონფერენციაზე ბევრი საკითხები ყოფილა გასარჩევი. ამასთან ერთად ეს საკითხები უბრალო საკითხები არ არის. მას უნდა ტვინისა და გონების ამუშავება.

ამიტომ საჭიროა ყველა წითელ-არმიელი ეხლავ ემზადოს ამ დღისთვის.

მარტო კონფერენციაზე მოსვლა და ჯდომა არ კმარა. საჭიროა ზომების და მხურვალე ზომების მიღება.

ყველა წითელ-არმიელი ვერ დაესწრება კონფერენციას.

მაზედ მონაწილეობას მიიღებენ დელეგაციები (წარმომადგენლები).

ამიტომ საჭიროა კონფერენციაზე ნახულ-გაგონილი თვითეულმა დელეგატმა გადასცეს თავის ამრჩევლებს, გააცნოს მათ მთელი საქმის ვითარება.

ესეც არ კმარა.

საჭიროა ჩვენი ნამოქმედარი გადაეცეს სოფლის მუშა გლეხობის დიდ უმეტესობას.

ეს ჩვენ შეგვიძლია წერილებით შევატყობინოთ ჩვენს მშობლებს, ძმებს, დებს და სხვა ნაცნობ-მეგობრებს.

აი როგორც ხედავთ მეტად რთული და სერიოზული ყოფილა უპარტიო წითელ-არმიელთა კონფერენციის მოწვევის დანიშნულება და მიზანი.

ემზადეთ კონფერენციისათვის. მიიღეთ მასში უშუალო და აქტიური მონაწილეობა.

პოლონეთი.

მძიმე გადასახადების წინააღმდეგ.

მთელი პოლესკის მხარე აღშფოთებულია მძიმე გადასახადების წინააღმდეგ.

გლეხებზე ჩამორთმეულ შინაურ საქონელსა და ქონებას არავინ არ ყიდულობს, ვინაიდან ეშინიათ გლეხთა შურისძიების.

ხშირად საგადასახადო კომისიის მოსვლის დროს მცხოვრებლები იხიზნებიან ტყეებში.

რადიო-დეპეშები.

ინგლისის მთავრობის კრიზისი.

მაკდონალდის მთავრობას უტევენ.

შეკითხვები თემთა პალატაში

ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგმა პონსომბიმ თემთა პალატაში მიცემულ შეკითხვაზე განაცხადა, რომ ბრიტანეთის მთავრობა სცნობს საბჭოთა მთავრობის უფლებას საქართველოში, მაგრამ მას არ აქვს უფლება გამოსთქვას რაიმე აზრი ამ ძალა-უფლების წარმოშობის შესახებ. ვინაიდან ეს საკითხი ეხება მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა მთავრობასო.

კენფორტიმ (ლიბერალია) შეეკითხა, დაპატიმრებულია თუ არა რომელიმე ბრიტანეთის ქვეშევრდომი რუსეთში, გარდა მეთევზეებისა, რომელთაც პასპორტები არ ჰქონიათ?

პონსომბიმ განაცხადა, რომ რუსეთის შესახებ გვაუწყებენ ბევრ რამეს, რომლებიც ყოველ გვარ საბუთს მოკლებულიაო.

განათლების მინისტრმა ტრეველიანმა განაცხადა, რომ მან მიიღო ზომები იმის შესახებ, რათა გამოარკვიოს საკითხი რუსული ენის სწავლების შესაძლებლობის შესახებ ინგლისში საბჭოთა კავშირსა და ინგლის შორის მასწავლებლებისა და სტუდენტების გაცვლის საშუალებით.

ბალდვინი მოუწოდებს „მტკიცე მთავრობისაკენ“.

კონსერვატორების ბელადმა ბალდვინმა კონსერვატორების მიტინგზე წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა, რომ ის საბჭოთა კავშირთან შეთანხმებას არ სთვლის მტკიცედ და ფიქრობს, რომ კონსერვატორებს შეიძლება მოუხდეს ახლო მომავალში მიმართონ ხალხს მოწოდებით, და მაშინ ყველა „კეთილ-გონიერი ადამიანები გაერთიანდებიან, რათა მისცენ სახელმწიფოს მტკიცე მთავრობა“.

მუშათა პარტია მზადაა ახალი არჩევნებისათვის.

მუშათა მთავრობის მომხრეები ემზადებიან საერთო არჩევნებისათვის.

ფიქრობენ, რომ მთავრობა დაიშლება მომავალ ოთხშაბათ', როცა პალატაში გაარჩევენ კონსერვატორების მიერ შეტანილ უნდობლობის რეზოლიუციას.

მუშათა პარტიის ერთი ლიდერის აზრით პარტია მზადაა საერთო არჩევნებისათვის, რომელზედაც „ენერგიულად დაიცავს ინგლის--საბჭოთა ხელშეკრულებას.

ლიბერალები შფოთავენ.

ლიბერალური პრესა აღშფოთებულია ასკვიტის დეკლარაციით.

„დეილი ნიუზი“ აცხადებს, რომ ის შესცქერის მომავალს „უსიხარულოდ“.

ჩვენ არ გვსურდა მომხდარიყო ახალი არჩევნები. ჩვენ არავითარი სურვილი არა გვაქვს, რათა მუშათა პარტია დასუსტებულ იქნას კონსერვატორების სასარგებლოდ. მთავრობამ უნდა გადასწყვიტოს შეიძლება თუ არა შეუთანხმოს თავისი პოლიტიკა რუსეთის საკითხში ლიბერალების რეზოლიუციას“.

„მანჩესტერ გარდიენი“ აღნიშნავს მდგომარეობის სერიოზულობას და დასასრულ ამბობს:

„მთავრობას არაფერი არ გაუკეთებია იმედის განმტკიცებისათვის, რომ ხელის მოწერით მას მართლაც ქონდა საბუთი საქმიანი შეთანხმებისა თუ მთავრობას აქვს ასეთი საბუთები, კარგი იქნება თუ ის წარმოადგენს ასეთებს“.

ლიბერალების და კონსერვატორების სიძულვილი იმდენად დიდია მუშათა მთავრობის გამარჯვებათა მიმართ, რამდენათაც მათი ცდები დაიბრუნონ ძალა-უფლება.

კლაინსის სიტყვა.

ინგლისის მთავრობის წარმომადგენელმა კლაინსმა თემთა პალატაში წარმოთქმულ სიტყვებში განაცხადა: „ლიბერალებისა და კონსერვატორების სიძულვილი იმდენად დიდია მუშათა მთავრობის გამარჯვებათა მიმართ, რამდენათაც მათი ცდები დაიბრუნონ ძალა-უფლება.

ამ პარტიებს შეაქვთ წინადადება, რომელიც მიმართულია მთავრობის ჩამოგდებისაკენ.

ჩვენ დამნაშავედ გვთვლიან იმაში, რომ პრინციპიალურად გამოვთქვით აზრი საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის აღდგენის სასარგებლოდ, ამასვე სცდილობდენ შერეული მთავრობის დროს კონსერვატორები და ლიბერალებიც. ჩვენი დამარცხება სურთ იმიტომ, რომ ჩვენ გავიმარჯვეთ იქ, სადაც იმათ დამარცხება იგემეს.

ევროპის მშვიდობიანობა არ შეიძლება აღდგენილ იქნას ისე, თუ არ განახლდება მეგობრული ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან.

მუშათა პარტიის რიგები არ შემცირებულა—ნდობა, რომელსაც ვერ ჰპოებს მუშათა მთავრობა თემთა პალატაში, აღდგენილი და დამტკიცებული იქნება ხალხის მიერ გამოტანილი განაჩენით.“

ამერიკა და საბჭოთა კავშირი

ხმები და ფაქტები.

ხმები იმის შესახებ, რომ ამერიკის ბანკირთა კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია რუსეთთან ვაჭრობაზე ფულის გაცემის წინააღმდეგ, სრულიად ტყუილი გამოდგა.

გამოირკვა, რომ ეს ხმები გავრცელებული იქნა იმ მიზნით, რათა შეებლალათ საბჭოთა კავშირის ფინანსიური გამძლეობა.

ბანკირთა კონფერენციას არავითარი რეზოლიუცია არ გამოუტანია რუსეთის საკითხის შესახებ.

მსხვილ ფინანსისტთა ორგანო საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის შესახებ მოწინავეში სწერს:

„საკითხი საბჭოთა მთავრობის სავაჭრო ორგანოების ნდობისა იგივე საბჭოთა კავშირის ნდობის საკითხია, რომელიც არ სარგებლობს ამ ნდობით იმდენად, რამდენადაც მან გააბათილა ეს ვალები.

წერილში ნაჩვენებია აგრეთვე, რომ საბჭოთა კავშირი იყენებს საგარეო ვაჭრობას პოლიტიკური მიზნებით.

ამიტომ ამერიკის საქმიანი პირების იმედები საბჭოთა კავშირთან სავაჭრო კავშირის გამოცოცხლების შესახებ სრულიად უსაფუძვლოა. მაგრამ,—შენიშნავს გაზეთი იქავე, საბჭოთა მთავრობამ დიდძალი ბამბა შეისყიდა ამერიკაში. ელექტრიულ და სხვა დარგებმაც მიიღეს დიდძალი დაკვეთა. გეჩვენება თითქოს ვაჭრობა საგრძნობლად იზრდებაო“.

გაზეთი იქავე სცდილობს უარყოს ეს შეხედულება.

შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ურთიერთობის მოწინააღმდეგენი შეფიქრებული არიან საქმიანი წრეების განწყობილებით, რომლებიც დაინტერესებული არიან საბჭოთა კავშირთან ვაჭრობაში და ამიტომაც გადავიდნენ შეტევაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთა ლიგის სესია დამთავრდა.

ჩინეთის დელეგაციის პროტესტი.

ერთა ლიგის სესიამ დაამთავრა თავისი მუშაობა.

ერთა ლიგის დროებითი წევრებად ხელახლად იქნენ არჩეულნი ურაგვაი, ბრაზილია, ჩეხო-სლოვაკია ესპანეთი, ბელგია, დაშვეცია.

არჩევნების შედეგის გამოცხადების შემდეგ ჩინეთის დელეგაციამ, რომელიც სცდილობდა შესულიყო ლიგაში როგორც წარმომადგენელი, პროტესტის ნიშნად დატოვა სხდომის დარბაზი.

საბჭოთა კრეისერი უცხოეთში.

საბჭოთა კრეისერი „ვოროვსკი“ მოვიდა კოლომბოში, საიდანაც გაემგზავრა ვლადივასტოკში თევზის სამრეწველოების დასაცავად. კრეისერი დაუბრკოლებლივ შედის ნავთსადგურში სურსათ-სანოვაგისა და სათბობ მასალის მისაღებად.

გერმანია და ერთა ლიგა.

საფრანგეთის მთავრობა თანახმაა გერმანიის მიღებაზე ერთა ლიგაში მუდმივ წარმომადგენლად, მაგრამ უარყო ყოველგვარი ცვლილება მიღების წესებში. ფიქრობენ, რომ ინგლისი და ბელგია შეუერთდებიან საფრანგეთის თვალსაზრისს. ერთოს ექნება თათბირი ინგლისისა და ბელგიის პრემიერებთან გერმანიის ნოტის პასუხის შესამუშავებლად.

პოლიტიკური მდგომარეობის ზოგადი შეფასება.

პოლიტიკური წრეების შთაბეჭდილება მუშათა მთავრობის წინააღმდეგ მიმართულ კამპანიასთან დაკავშირებით შეიძლება გამოითქვას შემდეგ ნაირად:

მუშათა მთავრობის ღირსება მასებში აიწია, განსაკუთრებით ინგლის-საბჭოთა ხელშეკრულების შემდეგ. ხოლო მისი ღირსება მუშათა მოძრაობის აქტიურ მოღვაწეთა შორის უეჭველია დაეცა.

ლიბერალებს ვერ გადაუწყვეტიათ ხელთათმანი ესროლონ მუშათა მთავრობას, ვინაიდან ეშინიათ არ დაიმსახურონ კონსერვატორიების სახელი.

კონსერვატორებმა მტკიცედ გადასწყვიტეს ანგარიში გაუწმინდონ მუშათა მთავრობას პირველ შემთხვევაშივე.

მეფეს შეუძლია წინადადება მისცეს კონსერვატორების ლიდერს ბალდვინს შეადგინოს მთავრობა.

საქმის ასეთ ვითარებაში ლიბერალები უნდა შევიდენ შერეულ მთავრობაში კონსერვატორებთან, ან პირიქით, თუ ლიბერალები შეადგენენ მთავრობას.

ამ-ტომ საერთო აზრია, რომ ლიბერალები ეცდებიან ჩამოაგდონ მთავრობა კემპბელის საკითხში, და ინგლნს-საბჭოთა ხელშეკრულების საკითხში.

მუშათა წრეები ემზადებიან ახალი არჩევნებისათვის და სურთ მოაწყონ საქმე, რათა მთავრობა დამარცხდეს არა კემპბელის არამედ ხელშეკრულების საკითხში. ხმებია რომ მთავრობა დასვამს ხელშეკრულების საკითხს მომავალ კვირაში.

აგიტაცია და მუქარა მემარჯვენე პარტიებისა.

ქრისტიანი დემოკრატები ძლიერ აგიტაციას აწარმოებენ დეპუტატთა ხელშეუხებლობის განსაზღვრისათვის მათ მიზნათ აქვთ შეავიწროვონ და მოიშორონ „ქალაქისა და სოფლის. კავშირის“ დეპუტატები, კრულიკოვსკი, დანცუცკი და სხვა.

უკრაინის სოციალ-დემოკრატიული პარტიის დეპუტატები ღებულობენ უსახელო წერილებს, რომლებიც მათ ემუქრებიან სიკვდილით თუ ისინი არ შესწყვეტენ აგიტაციას განაპირთა ადგილებში.

რადიო ყოველ მხრიდან

გეჯასში.

რეიტერის სააგენტოს ცნობით გეჯასის მეფემ ჰუსეინმა უარი განაცხადა ტახტზე. უკანასკნელი კვირაში ის აწარმოებდა სასტიკ ბრძოლას არაბთა ტერიტორიაზე მეწამულ ზღვასთან.

ვახაბიტები (ადგილობრივი ტომები) შეიჭრენ გესის გეჯასში და უტევენ მექას, სადაც დიდი შიშია გამეფებული. მოსახლეობამ მოითხოვა მეფის გამოცვლა და ახალის არჩევა, რომელიც შესძლებდა ქვეყნის დაცვას. გეჯასის მოსახლეობა დაემორჩილება დირექტივებს, რასაც უკარნახებს მუსულმანობა.

ირაკში.

სტამბოლის ბირჟის ცნობით, ოსმალთა ძალები გადავიდენ ირაკისა და მესოპოტამიის საზღვრებზე და სროლა დაუწყეს ბრიტინეთის ჰაეროპლანებს. ოსმალებმა ხელთ იგდეს ბრიტანეთის ერთი ჰაეროპლანი და ტყვედ წაიყვანეს ორი მფრინვაი.

მოლაპარაკება გერმანიის კაბინეტის განახლების შესახებ.

გრძელდება რეიხსკანცლერ მარქსის მოლაპარაკება პარტიების თავმჯდომარეებთან კაბინეტის ცვლილებების შესახებ. პარლამენტის წრეების აზრით ამას შეიძლება არც კი მოჰყვეს რაიმე შედეგები.

ბულგარეთში.

სისტემატიური მკვლელობა

ბულგარეთში გრძელდება სისტემატიური მკვლელობა ცანკოვის მოწინააღმდეგეთა.

მოკლულია კომუნისტური დეპუტატი მაქსიმოვი და სხვები.

მკვლელებმა ყოველთვის მოასწრეს დამალვა.

ინგლისი.

ინგლისის პოლიტიკური მდგომარეობა ისეთია ამ ჟამად, რომ თემთა პალატის წრეებში აუცილებლად სთვლიან ახალ არჩევნებს.

სამშაბათს მოხდება ბრიტანეთის მუშათა პარტიის წლიური კრება.

მოელიან რომ მაკდონალდი წარმოსთქვამს ვრცელ სიტყვას, რომელშიაც აღნიშნავს ბრიტანეთის მთავრობის შემდეგ სამუშაო გეგმებს.

„ხელები შორს ჩინეთისაგან“

2 და 3 ოქტომბერს გერმანიის კომუნისტურმა ორგანიზაციამ მოაწყო 22 მასიური კრება შემდეგ ლოზუნგის ქვეშ:

„ხელები შორს ჩინეთისაგან“.

შვეცია.

ანტიმილიტარისტული მოწოდებისათვის.

კონფისკაცია უყვეს კომუნისტურ გაზეთ „პოლიტიკენ“-ს, რომელსაც ბრალი ედება სახელმწიფო ღალატში.

გაზეთმა მოათავსა ანტიმ ლიტარისტული მოწოდება მიმდინარე სამხედრო მანევრებთან დაკავშირებით.

წითელი ყაზარმის ცხოვრების სამი ძირითადი მომენტი.

(დასასრული.)

ახალ წვეულებთან პირველ შეხვედრისგან ბევრი რამ არის დამოკიდებული. ამას შეუძლია ჯერ კიდევ ყაზარმულ ცხოვრებას დაუჩვეველ ამხანაგობაში, თუ ის ვერ დარჩა თავის დონეზე დაყენებული შეუძლია ცოტაოდენ გულგრილობის და სიმხდალის შეტანა და რამოდენიმე ხნით გამბედაობის გრძნობის შესუსტება, რაც თავის მხრივ გავლენას იქონიებს სამწყობრო და პოლიტიკურ სწავლის საქმეში.

ერთის სიტყვით ჩვენმა პოლიტ-მომუშავეებმა და უფროსთა შემადგენლობამ უნდა შეეცადონ ისეთი პირობების შექმნა, რომ მოსულ წითელ არმიელებმა იგრძნონ თავი იმდენად ახლო დაკავშირებული საბჭოთა ხელისუფლებასთან, რომ მან თავის ზნეობრივ მოვალეობათ ჩათვალოს წითელი ლაშქრის რიგების განმტკიცება.

ერთნაირ, უკვე დიდი ხნიდან, ჩვეულ „ქართველურ“ ყოყოჩობასდა მეტიჩრობას მათ წინაშე ადგილი არ უნდა დაურჩეს.

თუ შენ მეტი იცი გაუზიარე მას, შეასწავლე შენს ახალ ამხანაგს, რომელიც შენზე დაბლა სდგას კულტურული, პოლიტიკური და სამხედრო მომზადებით.

ახალ მოსულ ახალგაზრდებმა კარგი ხანი უნდა დაყონ წითელ ყაზარმაში.

ამ ხნის განმავლობაში მათ უნდა შეითვისონ ყოველივე ის, რაც საჭიროა, არა თუ მარტო მუშათა და გლეხთა დიქტატურის განმტკიცების საქმეში, არამედ მიიღონ სათანადო გაწვრთნა, მომზადება, რომ როცა უკან მოუხდებათ სოფლად დაბრუნება, იქაც შესძლონ სიცოცხლის, უნარიანობის და პოლიტიკური ცოდნის შეტანა.

ამ დიად მუშაობას ჩვენ ენერგიულად ვაწარმოებთ, თუ ჩვენ წარმოვიდგენთ, რომ ყაზარმაში თავმოყრილი ასი და ათასი სოფლის ღარიბ-ღატაკთა შვილები, სოფელში დაბრუნებისას, გახთებიან ჩვენი ხელისუფლების დასაყრდნობ ძალებათ.

ამის შეგნება ჩვენს ძალას გაათკეცებს, რომ შევძლოთ ყოველგვარ დაბრკოლებების გადალახვა დასახულ მიზნის მიღწევაში.

მესამედ, ყურადსაღებია ჩვენი წითელი მეთაურების დაბრუნება შვებულებიდან ჯარში. წითელ მეთაურებმა დაყვენ სამხედრო სკოლაში საკმაო დრო, მათ აქ შეიძინენ სამხედრო ცოდნაც. დღეს მათ უხდებათ უშვალოთ თავის ცოდნის გადაცემა წითელი არმიის ამა თუ იმ ნაწილებში.

ისენი დღეს იბარებენ ჩვენი მომავალი თაობის აღზრდა-განვითარების საქმეს.

ის ხდება არა მარტო მწყობრის სამხედრო ვარჯიშობის ხელმძღვანელი, არამედ პოლიტიკური მასწავლებელიც ჩვენს პოლიტ-მომუშავეებთან ერთად. მათ უნდა შეიგნონ, რომ წითელი არმიელი მისგან მოელის მამის მაგიერობას.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ საქართველო გლეხური მხარეა. აქ ჩვენს მუშაობას დიდი დაბრკოლებები ელობება წინ.

ჩვენ ამ მხარეში უნდა შევინარჩუნოთ მუშური სახე, ჩვენი მუშაობას მივსცეთ პროლეტარული, რევოლიუციის ელფერი და მით უზრუნველვყოთ მუშათა კლასის ხელმძღვანელობა სოფლის ღარიბ-ღატაკებზე.

გასულმა მენშევიკების და თავად-აზნაურების ავანტიურისტულ გამოსვლებმა აშკარათ დაგვანახვა ჩვენი მომავალი მუშაობის გზა უმეტეს წითელი ლაშქრის რიგების განტკიცების საქმეში. აქედან წითელ მეთაურს ევალება ისე აღზარდოს და მოამზადოს ჩვენი გლეხის შვილები, რომ მან ორივე მხარე—ომიანობის და მშვიდობიანი დროს მუშაობა შესძლოს.

ჩვენი ყაზარმა კი აუცილებელი პირობაა ასეთი მომუშავეების აღზრდის, მისი გაწვრთნის ფიზიკურად და იდეიური მომზადების. ეს ერთი, რომელიც უნდა გვახსოვდეს, მეორე მხარე, რომელიც დაკავშირებულია ტერიტორიალურ სისტემის გატარებასთან არის ახლო ეკონომიური კავშირის დაჭერა გლეხურ მასებთან, მართალია რაიმე ნივთიერი დახმარება მივცეთ გლეხებს ჩვენ არ შეგვიძლია.

ჩვენი დახმარება უნდა გამოიხატებოდეს სხვა და სხვა სახით:გზების გაკეთებაში, სოფლებში წყაროების გაყვანაში, ჭაობების ამოშრობაში და სხვა.

მესამე, კულტურული მუშაობის წარმოება სოფლათ, სხვა და სხვა კულტურულ დაწესებულებების გახსნა კლუბის და წიგნ-საკავ სამკითხველოების სახით და სხვა კიდევ ჩვენი ჯარის ნაწილების პირდაპირ მოვალეობას შეადგენს ადგილობრივ ამხანაგებთან ერთად.

ყველა ამ საქმეების გატარების თუ დახმარების დროს უნდა გამოვდიოდეთ კოლექტიური შრომის ხასიათიდან და ვცდილობდეთ გლეხური მასები მას შევაჩვიოთ.

მასთან, თავისთავად ცხადია, ძველ მეთაურებს და ახალ წითელ მეთაურებს შორის ერთის მხრივ, მეორეს მხრივ კი პოლიტ-შემადგენლობის შორის უნდა არსებობდეს სრული ნდობა და ამხანაგური დამოკიდებულება. არც ერთი მათგანი არ უნდა ფიქრობდეს, რომ ვინმე მათ ადგილს დაიჭერს, თუ კი ის ნამდვილათ წრფელი სურვილით იქნება აღვსილი ემსახუროს საბჭოთა ხელისუფლებას.

ამრიგათ წითელი მეთაურებისათვის უნდა იქნეს შექმნილი პირობები, სადაც მას შეეძლება მთელი თავისი ახალ გაზრდული ენერგიით შეუდგეს საერთო საქმეს წითელი ლაშქრის აღზრდაში, და მუშურ გლეხური მასების დაახლოების საქმეში და მით ხელი შეუწყოს საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებას. ყველანი უნდა ცდილობდენ შექნან ისეთი პირობები წითელი მეთაურის გარშემო, რომ მისი ავტორიტეტი თანდათან იზრდებოდეს.

ლაშქრის რიგებში ასეთ პირობებში შესძლებენ ისინი თავიანთ მოვალეობის მოხდას წითელი ჯარის წინაშე.

თუ ამ მხრივ მივმართავთ ჩვენ ჩვენს მუშაობას და მას დაუკავშირებთ სოფლის და ქალაქის ორგანიზაციებს, მათთან ერთად გაარჩევენ ბევრ საკითხებს ჩვენი სოფლის და ქალაქის მეურნეობის აღდგენაში. მაშინ წმინდა სამხედრო კასტის სახეს, როგორც ეს იყო ძველ ბურჟუაზიულ-მენშევიკების და მეფის ჯარში, დავკარგავთ. ჩვენ შორის თაოსნებას, უნარიანობას გავაფართოვებთ, ადვილად შევსძლებთ ჯარის რიგებიდან სამოქალაქოში გადასვლას და იქ არ ვიგრძნობთ თავს, როგორც ის წინეთ იყო, მოუმზადებლად.

ყველა ამ მოვალეობის შესრულება ძნელია. დღეს ჩვენს წითელ დროშას საიმედო დარაჯები ყავთ და ჩვენ სრული დაიმედებულნი ვართ ჩვენი წითელ არმიელები, ძველი და ახალი მეთაურები გაამართლებენ იმ დიდ იმედებს, რომელიც მათ დააკისრა ისტორიამ.

მთელი ამ დიდ მოვალეობის შესრულებაში პოლიტ-მომუშავეების როლიც დიდია. ისინი ენერგიულ ხელმძღვანელობით და თაოსნობით შესძლებენ დასძრან ადგილიდან, შემატონ ფხა და წასწიონ წინ ძველი და ახალი მეთაურების საქმიანობა.

ბ. სიხარულიძე.

შეცდომის გასწორება.

ჩვენი გაზეთის გუშინდელ №-ში ამხ. ბ. სიხარულიძის ფელეტონის მეორე აბზაცში გაგვეპარა კორექტორული შეცდომა. სწერია: „წითელი არმია არის მუდმივი და უცვლელი“ უნდა იყოს:

„წითელი არმია არ არის მუდმივი და უცვლელი“...

ჩვენი წითელი ჯარი

ახალი მეთაურნი პირველ ლეგიონში.

ჩვენი წითელი ჯარი დიდი სიხარულით მოელოდა ახალ მეთაურებს, რომლებიც ენერგიულად შეუდგებოდენ, როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკურ და კულტურულად არმიელების მომზადების საქმეს.

სიმართლე უნდა ითქვას, უფროს მეთაურთა სკოლამ მიზანს მიაღწია და მოგვცა კარგათ მომზადებულ წითელ მეთაურის საკმაო რიცხვი.

1-ლ ლეგიონში მეთაურთა გადაჯგუფებისა და გაწმენდის შემდეგ ცოტა მეთაურები დარჩენ.

საბჭოთა ხელისუფლებამ თავიდან მოიშორა ზოგიერთი კონტრევოლიუციონური ელემენტები ჩვენი ჯარის რიგებიდან და მათი ადგილი ამ ჟამად დაიკავეს წითელმა მეთაურებმა.

1-ლ ოქტომბერს ახალი მეთაურები გამოცხადენ ლეგიონში დანიშნულებისამებრ, რომლებსაც სამხკომ ლეგთავმა მისცეს საჭირო დირექტივები და შემდეგ ამხანაგები დანიშნულ იქნენ ასეულებში.

მათი მოსვლის აღსანიშნავათ გაიმართა ლეგიონის საერთო კრება, რომელსაც დაესწრენ წითელი არმიელები და უფ-პოლიტშემადგენლობა.

კრებაზედ გამოვიდა მისასალმებელი სიტყვით სამხკომი ამხ. ჩაახია. მან მოუწოდა წითელ მეთაურებს, რომ მტკიცეთ შეასრულონ მათზე დაკისრებული დავალებანი წითელ არმიელთა სამხედრო, პოლიტიკურ და კულტურულად მომზადების საქმეში.

კრებამ ტაშის ცემით და ვაშას ძახილით დააჯილდოვა ამხანაგები.

ჩვენი ლეგიონის მთელი შემადგენლობა უსურვებთ ამხანაგებს სიმედგრეს საბჭოთა ხელისუფლების სადარაჯოზე და ჩვენ დამხდური უფ-პოლიტ-შემადგენლობა ლეგიონის საერთო ძლორძინების და აყვავების საქმეში მათთან ვიქნებით.

გაუმარჯოს ახალ წითელ მეთაურებს და მათ საქმიანობას.

ს. იმნაიშვილი.

მეორე დივიზიის ცალკე მესანგრე ასეულში.

24 სექტემბერს შესდგა ჩვენი ასეულის მთელი შემადგენლობის საერთო კრება, რომელსაც თავმჯდომარეობდა ასეულის თავი ამხ. წაქაძე.

მოხსენებით გამოვიდა ასეულის სამხკომი ამხ. ჭყონია. ის შეეხო მენშევიკურ გამოსვლებს და აღნიშნა მათი ვერაგული საქციელი.

შემდეგ ამხანაგი შეეხო აგრეთვე ასეულის შინაურ საკითხებსაც და გამოსთქვა სურვილი რათა ასეულში დაარსებული იქნეს დრამატიული წრე.

კრებამ მოიწონა ამხ. აზრი და დრამატიული წრის ხელმძღვანელებათ არჩეული იქნენ ამხ. ამხ. ხუციშვილი, ასათიანი და ჯაფარიძე.

შემდეგი მოხსენებით „რემედასის“ შესახებ გამოვიდა ამხ. სოხაძე. მან მოუწოდა ამხანაგებს, რათა ხელი შეუწყონ „რემედასის“ უჯრედის დაარსებას. ამასთანავე მან ფართოდ გააცნო არმიელებს ამ ორგანიზაციის მიზნები და მნიშვნელობა.

კრება ერთსულოვანად შეეგება ამ განცხადებას და ამორჩეულ იქნა „რემედასის“ ბიუროს შემადგენლობა.

ბოლოს საკონტროლო კომისიის მუშაობა კრებას გააცნო ამხანაგმა წაქაძემ და სხვა და სხვა შეკითხვებისა და ახალი საკონტროლო კომისიის შემადგენლობის ამორჩევის შემდეგ კრება დაიხურა.

სამხკორი **ი. ჯაფარიძე.**

პირველი ინტერნაციონალის 60 წლის თავი სოფლად.

28 სექტემბერს 2-რე დივიზიის უნცროს მეთაურთა სკოლა გაემგზავრა სოფლებში პირველი ინტერნაციონალის 60 წლის თავის აღსანიშნავად.

სკოლა გაიყო ორ ნაწილად. ერთი ნაწილი გაემართა სოფ. დვაბზუსაკენ და მეორემ კი მიაშურა შემოქმედს. მიუახლოვდით თუ არა სოფ. შემოქმედს, შემოგვეგებენ ადგილობრივი გლეხები, რომლებიც ძლიერ გახარებული იყვენ ჩვენი მისვლით.

გაიბა საუბარი გლეხთა და კურსანტებ შორის ჩვენ ძლიერ დაინტერესებული ვიყავით სოფლის მდგომარეობით და დაწვრილებით გამოვკითხეთ გლეხებს ყველაფერი.

სხვათა შორის მოგვიყვენ მენშევიკების ავანტიურისტული გამოსვლების შესახებ, რომლებსაც მოტყუილებით ჩაუთრევიათ აჯანყებაში ორიოდე გლეხი. მხოლოდ უღარიბესი გლეხობა მათ არ გაყოლიათ და შესაფერი პასუხი გაეცათ ამ ვაჟბატონებისათვის.

დღის ორ საათზე გაიხსნა შემოქმედის გლეხობისა და კურსანტების გაერთიანებული მიტინგი.

პირველი ინტერნაციონალის 60 წ. თავის მნიშვნელობის შესახებ და საერთოდ მისი დაარსება და მუშაობის შესახებ ვრცელი მოხსენებით გამოვიდა სკოლის ლექტორი ამხ. ჭანტურიშვილი.

მან გააცნო კრებას პირველი ინტერნაციონალის მანიფესტი და შემდეგ აღნიშნა მისი დამარცხების მიზეზებიც.

ამხ. შეეხო აგრეთვე მესამე ინტერნაციონალის როლს დაჩაგრულთა განთავისუფლების საქმეში და პარალელურად აღნიშნა მეორე ინტერნაციონალის გამცემლური მოღვაწეობა.

გაუმარჯოს მესამე ინტერნაციონალს! ერთბაშად იგრიალა მთელმა მიტინგმა.

შემდეგ საერთაშორისო მდგომარეობაზე ილაპარაკა ამხ. მახარაძემ.

საერთოდ მიტინგი მეტად შინაარსიანად ჩატარდა. ადგილობრივმა გლეხობამ მადლობა გადაგვიხადა სოფელში მისვლისათვის და ჩვენ დიდათ ნასიამოვნები გამოვეშურეთ უკან.

ს. იმნაძე.

ყურადღებაა საჭირო.

უკვე რამოდენიმე დღეა, რაც პირველი ლეგიონის ეზოს სამხრეთით, ქვის მესერთან, ყაზარმის კედლის ახლოს, მიწიდან ამოქუხს წყალი.

როგორც ეტყობა მიწაში გაყვანილი წყალსადენის მილი უნდა იყოს გაფუჭებული.

წყალი მხოლოდ იქცევა, რომელიც იქვე გუბდება.



ამას თავი დავანებოთ, ეზოში სადაც ასეთი მოვლენაა, ყრია მტვერი, სხვა და სხვა ჩვრები და მკვდარი ვირთხები. ყველა ამაებს უდგება წყალი, ლპება და ვინ იცის რას არ გაავრცელებს იქ დამდგარი სიდამპლის სუნი.

სხვას რომ თავი დავანებოთ წყლის დაქცევა ზარალს აყენებს სახელმწიფოს.

საჭიროა ყურადღება. სახელმწიფო დოვლათს მიხედვა და მოვლა უნდა.

ს. კინწურაშვილი.

პარტიული ცხოვრება.

მეთაურთა გაერთიანებულ სკოლაში 3 ოქტომბერს შესდგა სკოლის კომუჯრედის ღია კრება. კრებას დაესწრენ, როგორც კურსანტები, ისე უფ-პოლიტშემადგენლობა.

მომენტზე მოხსენებით გამოვიდა სკოლის უფროსი ამხ. ტალახაძე. მან გარკვევით დაახასიათა საერთაშორისო მდგომარეობა. შეეხო სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების გავლენის ზრდას, კომუნისტური პარტიის გაძლიერებას და სხვა.

— ამავე დროს კაპიტალისტური სამყარო ძალებს იკრებს და ემზადება ჩვენს წინააღმდეგ. ჩინეთის შინაურ საქმეებში მათი ხელის ფათური და სხვა კოლონიებში მოქმედება ამის მომასწავებელია.

მოხსენების შემდეგ კომუჯრედის ღია კრებამ გამოიტანა შესაფერი რეზოლიუცია, რომელშიაც კიდევ ერთხელ აღინიშნა, რომ ქართულ მეთაურთა სკოლის კურსანტები ყოველ წუთს მზად არიან შესაფერი დახმარება აღმოუჩინოს დასავლეთ ევროპის პროლეტარიატს თავის განმათავისუფლებელ ბრძოლაში.

საკავშირო კომისიის მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ჩიტაიშვილი, რომელმაც აღნიშნა რომ სკოლას მჭიდრო კავშირი აქვს როგორც სამხედრო ნაწილებთან ისე მუშებთან და გლეხებთან, სადაც შეძლების დაგვარად კურსანტები აწყობდნენ წარმოდგენებს, აკეთებდნენ მოხსენებებს და ეწეოდნენ კულტურულ-პოლიტიკურ მუშაობას.

საკავშირო კომისიის წევრებათ, მეთაურებათ გაშვების გამო, არჩეულ იქნა ახალი შემადგენლობა ხუთი კაცისაგან.

კრების შემდეგ გავიდა კინო-სურათი.

კურსანტები, როგორც მოხსენებით, ისე კინო სურათით კმაყოფილნი დარჩნენ.

სამხკორი **ნ. არჩუაშვილი.**

განმეორებითი კურსების სამოსწავლო ახალი წლის (1924-25) დასაწყისათვის.

განსაკუთრებით იმ ქართველ კომანდირებისთვის, ვინც დაასრულა პირველი და მეორე გამოშვება არმიის მეთაურთა საშუალო შემადგენლობის განმეორებითი კურსებისა, ცხადია არ იქნება ინტერესს მოკლებული თვალყური ადევნონ ამ სამოსწავლო დაწესებულების შემდეგ ბედ-იღბალს.

ჯერ კიდევ მაცადინეობის დაწყებამდე მოხდა კურსების რეორგანიზაცია (ცვლილება).

ეს კურსები არ იარსებებს, როგორც დამოუკიდებელი ერთეული, არამედ გრძელდება განმეორებითი განყოფილებების სახით ტფილისის მე-21-ე მეთაურთა სკოლასთან.

რეორგანიზაციის გამო გაუქმებულია კავალერიის, არტილერიის, საკავშირო და სამეურნეო კლასები. იხსნება მხოლოდ ოთხი განყოფილება:

ორი—მსროლელთა, ქვეითი და ცხენოსანის კომანდირებისთვის, ერთი ტყვიამფრქვევის და ერთიც სამზვერავო. უკანასკნელი ახალია გასულ გამოშვებებთან შედარებით.

კავალერისტები გაივლიან კურსს „ქვეითად“ ისე, როგორც მსროლელთა კომანდირები.

ახალი სამოსწავლო წელი ხასიათდება პირდაპირი გადასვლით **ლაბორატორიულ სისტემაზე.** ეს გამოიხატება: ა) მონათესავე ჯგუფში შეკრებილ საგანთა საგრძნობლად შეკვეცაში. ასეთი ჯგუფები სულ ექვსია, თუ არ ვიანგარიშებთ რუსულ ენასა და მათემატიკას, რომელსაც გადიან კურსის პირველ თვეებში.

მთავარი: 1. ტაქტიკა ტოპოგრაფიით.

2. სწავლა საზოგადოებრიობაზე გეოგრაფიით.

3. სწავლა იარაღზე (სასროლო, სატყვიამფრქვევო, საგრენადერო, საარტილერიო, სამხედრო-ქიმიური და საჯავშნო საქმე).

4. საბრძოლო მომზადების მეთოდიკა პოლიტ-საგანმანათლებლო მეთოდიკით).

დამხმარე: 5. თავდაცვის საშუალებანი და

6. უმ. ადმინისტრაცია სამხედრო ჰიგიენით.

შენიშვნა: მზვერავთა კურსი განსაკუთრებული გეგმაზეა.

ბ. კლასების შეცვლაში ლაბორატორიებით არა მხოლოდ იდეიურად, არამედ შენობის მოწყობის მხრივაც.

გ. რეპეტიციების, გამოცდების და ნიშნების გაუქმებაში და მათი ნაწილ-ნაწილად ჩაბარებით და დახასიათებით შეცვლაში. ყოველი მსმენელი მიიღებს სამუშაო და ჩასანიშნავ წიგნაკს, სადაც აღინიშნება მის მიერ გაკეთებული მუშაობა.

დ. სამაცადინეო დროს ახალ ხელ-ახალ განაწილებაში: ექვსის მაგივრად, ხუთი სამაცადინეო დღე კვირაში და ერთიც დამოუკიდებელ სამხედრო-სამეცნიერო მუშაობისათვის; და სამუშაო დღის შვიდი აკადემიური საათიდან ნაწილი მოხმარდება ლაბორატორიულს და ნაწილი კოლექტიურ მაცადინეობას. პირველად კოლექტიურ საათების რიცხვი (მთელი განყოფილებით სამაცადინეოდ მასწავლებელთან) ეძლევათ მეტი, ხოლო შემდეგ ნაკლები, ლაბორატორიის მუშაობისათვის საათების გადიდების ხარჯზე.

ე. გადაცემის ხასიათში: მსმენელებს არ ეძლევათ მზა-მზარეული ცნობები, არამედ მასალა მისი დამოუკიდებლად შესასწავლად.

მასწავლებლის როლი იცვლება: როცა გამოცხადდება ლაბორატორიული საათები, მსმენელი თვით ირჩევს თავისთვის ლაბორატორიას და რჩება შიგ იმდენ ხანს, რამდენიც მას სურს (დახურვამდის), ან და გადადის (ზარის ხმაზე) მეორეში.

შესვენების დრომდი (45 წუთში—5 წუთი) ერთი ლაბორატორიიდან მეორეში გადასვლა არ შეიძლება, რათა არ იქნას წესრიგი დარღვეული.

მსმენელი ირჩევს თავისთვის ლაბორატორიას, ხელმძღვანელობს მასზე მოცემულ ამოცანებით და სცდილობს სწორად გაანაწილოს მათ შორის დრო; აქ ის მხატვრობაში ღებულობს ამა-თუ იმ მასწავლებლის მორიგების ცხრილს.

კოლექტიურ (ასე ეწოდება ყოფილ კლასის საათებს) საათებში განყოფილება სრულიად იკრიბება დანიშნულ ბინაზე.

ერთი დღე კვირაში ეთმობა ლაბორატორიულ მუშაობას მინდორში, ხოლო ხანდახან ეს მაცადინება შეცვლილ იქნება საანგარიშო ამოცანით ტაქტიკაში რუქებსა და გეგმებზე.

ამ რიგად ჩვენ ვსცდილობთ მივაღწიოთ დანიშნულ მიზანს; **მივაჩვიოთ ჩვენი კომანდირები თვითმოქმედებას, აღრიცხვასა და განაწილებას დროისა, მეთოდიურ მუშაობას,** დამოუკიდებლად გარკვევას მეცნიერულ მასალებში, **ამასთან ერთად ბარემოების შეფასებას,** ერთი სიტყვით ვასწავლოდ—თვით **„შეიძინონ ცოდნა“** ნაცვლად იმ ამოცანისა, რომელიც დასახული ჰქონდა მიზნად ძველ სკოლას—„მიცემა ცოდნისა“.

ასეთი სისტემა სრულებით არ ნიშნავს იმას რომ, მოწაფეებს უფლება მიეცემა „თავის ჭკუაზე იმოქმედონ.“ ვინაიდან ჩვენი პედაგოგიური პერსონალი ნახევარი წელი ემზადებოდა სწავლების ახალ სისტემაზე გადასავლელად, ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ეს არ მოხდება.

უსათუოდ კურსების წინაშე სდგას ძნელი ამოცანა, როგორც ცვალებადის, ისე მუდმივი შემადგენლობის წინაშე.

თუ როგორი იქნება შედეგები, ჩვენ თავის დროზე გაუზიარებთ ჩვენს აზრს ამის შესახებ ჩვენს ქართველ მკითხველ ამხანაგებს.

ე. მენჩუკოვი.

ჩვენი ლეგიონი იმედებს გაამართლებს.

მესამე ტერ-ლეგიონი თან და თან ღონიერდება. ამ მოკლე ხანში მან უნდა დაიკავოს მთელი სამი ოთხი მაზრების ტერიტორიები. სწორედ ამის გამო გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს წითელი არმიელებში.

ხუმრობა ხომ არ არის.

ჩვენს არმიელებს მოუხდებათ დამოკიდებულება იქონიონ ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა კუთხის ხალხთან. საჭიროა მათი ზნე ჩვეულებების გაგება და მათთან ამნაირად მისვლა. ისე ჩვენი საქმიანობა ვერ მოიტანს დამაკმაყოფილებელ შედეგებს.

ჩვენს სამხედრო კომისარს კარგად აქვს გათვალისწინებული ეს მდგომარეობა და მთელი თავისი ძალღონით სცდილობს მოამზადოს არმიელები სხვა და სხვა მაზრებში მივლინებისათვის.

დიდ ენერგიას და მუყაითობას იჩენენ ამ საქმეში აგრეთვე ახალი წითელი კომანდირები.

ჩვენ დარწმუნებული ვართ მათთან ერთად აღვილად შევასრულებთ ამ დიდ დავალებას და სხვა და სხვა კუთხის მცხოვრებლებს ისე შევხვდებით და ალღოს აუღებთ მათ ზნე ჩვეულებებს როგორც საჭიროა.

გაუმარჯოს ჩვენს ხელმძღვანელებს ამ საქმიანობაში.

წით. არმიელი: დ. **ლალიაშვილი**

შეისწავლეთ სამხედრო ქიმია.

„კვამლის ფარდულები" და „საბრძოლო კვამლები".

ხელის საკვამლე ხელსაწყო. ხელის საკვამლე გრანატა ისევეა მოწყობილი, როგორც ჩვეულებრივი ხელის გრანატა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამაფეთქებელ ნივთიერების მაგივრად გატენილია ის განსაკუთრებული ნივთიერებით, რომელიც წვის დროს გამოყოფს კვამლს ან ფოსფორს (ამისგან წინად წუმწუმას აკეთებდენ) ან და ქლორის კალათ, რომელიც იძლევა თეთრ მწვავე კვამლს.

ასეთი ხელის გრანატა ორ ნაირ სამსახურს უწევს ბრძოლის დროს. ის ერთი რომ კვამლს აჩენს და მეორე გადასროლილი მტრის სანგრებში ის თავის მწვავე კვამლით იძულებულს ხდის მებრძოლთ დასტოვონ სანგრები.

თოფის გრანატა. ეს გრანატა ზომით ცოტათი ნაკლებია ხელის გრანატაზე. ტენიან მას იმავე ნივთიერებით, როგორც ხელის გრანატას. ისვრიან მას მტრის ბანაკში თოფის საშუალებით. იძლევა მცირე სივრცეზე მოწამლულ კვამლს.

კვამლის სანთელი წარმოადგენს ლითონის ქილას, სიმაღლით 5-6 გოჯი და სისქით 3 გოჯი. ის გატენილია 3-4 გირ. ნივთიერებით, რომელიც წვის დროს იძლევა სქელ და მძიმე ღრუბლის მგზავს კვამლს. ამ კვამლით სუნთქვა არ არის საშიში ადამიანის სიცოცხლისათვის. მთელ წყება ასეთ სანთლებისას აწყობენ ფრონტის გარშემო, რომ თვალთვალის საშუალება არ ქონდეს მოწინაალმდეგეს. კვამლის სანთელი მოქმედებს 3-5 წამის განმავლობაში.

კვამლის ჩანთა-სატარებელი კვამლის ხელსაწყო წონით ერთი ფუთიდან ორ ფუთამდე. ასეთი ჩანთა დიდ ძალ კვამლის ნივთიერებას ინახავს და ხანგრძლივად შეუძლია კვამლის გამოშვება.

იმ დროს, როცა საჭიროა დიდძალი კვამლის გამოშვება, მაშინ ხმარობენ სხვა უფრო დიდი ზომის კვამლის ხელსაწყოს.

ამათი ღირსება გამოიხატება იმაში, რომ ყოველ წამში წვის დროს მათ შეუძლიათ დიდძალი კვამლის ან კვამლის ფარდის მოცემა და თავის დანიშნულების შესრულება.

ნალმტყორცნებს, ფილთამეხებს და არტილერიის ჭურვებს შეუძლიათ დიდ ძალი კვამლის მოცემა, მხოლოდ მტრის ფრონტზე. ამიტომ ამათ ტენიან ისეთი ნივთიერებით, რომელიც იძლევა მწვავე ან მოწამლულ კვამლს.

ხშირად ასეთი ჭურვები გატენილია ისეთი ნივთიერებით, რომელიც თავის თავად არავითარ საწამლავს არ წარმოადგენს, მაგრამ მოწინააღმდეგე იგრძნობს რა ამ სუნს, შიშობს არ მოვიწამლოვო და იფარებს აირის საწინააღმდეგო ნიღაბს, რაც ძალზე ღლის მას.

რ.

ავიაცია საზღვარ გარედ.

ავიაცია ჩინეთში.

საფრანგეთის ავიაპრესაში შემდეგი ცნობებია მოყვანილი ჩინეთის სამხედრო ავიაციის შესახებ, რომელიც განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს—ჩინეთში სამოქალაქო ომის გამო.

საფრანგეთის კოლონიის—ინდოჩინეთის მოსაზღვრე იუნიანის პროვინციაში მუშაობს 6 „კოდრონ"-ის სისტემის თვითმფრენები, ამათ რიცხვში შედის აგრეთვე „ბრეგეს" სისტემის ჰაეროპლანებიც, რომელსაც ხელმძღვანელობს საფრანგეთის კაპიტანი.

შანხაიის გენერალ-გუბერნატორი ლუ-იუნ-სანს ყავს ექვსი თვითმფრენი „ბრეგეს" სისტემის და 4 „მორანის".

მანჯურიის გენერალ-გუბერნატორი ჩჟან ცზო-ლინი გაფაციცებით აძლიერებს თავის საჰაერო სამხედრო ძალებს—საჰაერო ფლოტს.

ავიაციის სათავეში სდგას ჩჟან-ცზო-ლინის შვილი—ჩანგ-სულ-ლინი.

სამსახურში ჩჟან-ცზო-ლინს აყვანილი ყავს ფრანგები და ინგლისელი მფრინავები.

მანჯურიის მმართველის სამხედრო საჰაერო ძალები შემდეგია: 2 „ხენდლეი პეიდჯ", 2 „ავრო". 4 „სპად". 12 „ბრეგე". 14 A_2 და 6 „კოდრონი" C 59".

ჩჟან-ცზო-ლინი ყოველ მხრივად სცდილობს მოამზადოს ჩინელ მფრინავების მთელი კადრი. უცხოელ მფრინავების საზაფხულო გამოწვევით, ჩინეთის ახალგაზრდობიდან გამოვიდენ საუცხოვო მფრინავები. ჩინეთის 12 მფრინავი უკვე გაიგზავნა საზღვარ გარედ სწავლის დასასრულებლად. შემდეგისათვის განზრახულია მიავლინონ აგრეთვე 50 კაცი.

უკანასკნელი დეპეშების ცნობით ჩჟან-ცზო-ლინის ესკადრილია უკვე ყუმბარებს უშენს პეკინის მთავრობის სხვა და სხვა ქალაქებს და აპირებს თავდასხმას თვით პეკინზედაც.

გელიკაპტიორების კონკურსი.

ინგლისის საჰაერო სამინისტრომ გამოაცხადა კონკურსი საუკეთესო გელიკაპტიორზე.

რა არის გელიკაპტიორი? ეს იგივე ჰაეროპლანია, მაგრამ სხვა სისტემის. გელიკაპტორს არ სჭირდება ჯერ მიწაზე გაგორება და შემდეგ ისე აფრენა. ის პირდაპირ—როგორც სდგას ისე ადის მაღლა ვერტიკალურად.

კონკურსის პირობის თანახმად გელიკაპტიორი უნდა ავიდეს ჰაერში 600 მეტრის სიმაღლეზე დაჰყოს იქ 30 წუთით და 10 მეტრი ქარის დროს წამში უნდა გამოიჩინოს 90 კილომეტრის სიჩქარე საათში.

კონკურსზე წარმოდგენილია 16 გელიკაპტორი. მათ შორის 9 ამერიკიდან, 4 ინგლისიდან, 1 საფრანგეთიდან, 1 იტალიიდან და 1 ჰოლანდიიდან.

საფრანგეთის პრესის ცნობით, კონკურსზე წარდგენილი ფრანგული გელიკაპტიორი, რომლის კონსტრუქცია ორ ახალგაზრდა ფრანგ ინჟენერებს ეკუთვნის, ძლიერ განსხვავდება სხვებისაგან თავისი უპირატესობით.

ახალი ამბები.

— **საქსოვი ქარხანა ტფილისში.** კომინტერნის სახელობის საქსოვი ქარხანა საფუძვლიანი შეკეთების შემდეგ უკვე ამუშავდა.

— **სარწმუნოების საწინააღმდეგოთ.** თვითმშრომელთა საზოგადოებამ დაარსა სარწმუნოების საწინააღმდეგოთ წრე, პოლიტწრე, ლიტერატურული და დრამწრეები.

— **ტალახით მკურნალობა.** ჯანმრთ. სახ. კომისარიატთან შესდგა თათბირი, რომელმაც მსჯელობა იქონია ტფილისში ტალახით სამკურნალო საავადმყოფოს დაარსების შესახებ.

— **პროფესიონალური სკოლები.** ტფილისში ამჟამად არსებობს 4 ხელ-საქმის პროფესიონალური სკოლა: ხალიჩების, საქსოვი, სართავი, არშიების საქსოვი და სამკერვალო განყოფილებით.

— **საქონლის ჭირი გერმანელთა ახალშენში.** გერმანელთა ახალშენ მარიენფელდში თავი იჩინა საქონლის ჭირმა, რის გამოც ტფილისიდან გაემგზავრა ჭირის წინააღმდეგ საბრძოლველათ საექიმო რაზმი.

— **კონსერვების ქარხანა.** ქალ. აღმასკომის საკონსერვო ქარხანაში დაიწყეს კომშის კონსერვების კეთება, რომლის მომხმარებელიც უმთავრესად იქნება მოსკოვის ბაზარი.

როგორ შეიქმნა მაკდონალდი ინგლისის მთავრობის თავმჯდომარეთ.

სიმართლე გითხრათ მე ერთ სტრიქონსაც არ დავსწერდი ამ „პატივცემული" გვამის შესახებ. მაზედ ისედაც ბევრი ვიცით.

ვიცით რომ ის არის სოციალ-დემოკრატი, მეორე ინტერნაციონალის საპატიო წევრი.

ვიცით ისიც, რომ დღეს ის მთავრობის თავმჯდომარეა.

ამ მთავრობას ის და მისი ამხანაგები მუშურს უწოდებენ. მუშები კი „მუშურს".

მე ვსთქვი მაკდონალდზე ერთ სტრიქონსაც არ დავსწერდი მეთქი.

მაგრამ მიზეზი ამ წერილისა არის ის გარემოება, რომ ზოგიერთ ამხანაგს მაკდონალდის მთავრობის თავმჯდომარედ ყოფნა მიაჩნია მენშევიკების გამარჯვებათ. ეს არ არის მართალი.

მართალია მაკდონალდი სოციალ-დემოკრატი (მენშევიკი) არის. მართალია ისიც, რომ იგი მთავრობის თავმჯდომარეა.

მაგრამ მართალია ისიც, რომ იგი თავმჯდომარეთ თვით მეფემ, ინგლისის კოროლმა დასვა.

სად იყო და რომელ მხარეს მეფეს მუშებისთვის ეთქვას:

„მე მეფობა არ მსურს, მოდით თქვენ მართეთ ქვეყანაო".

არსად და არასოდეს.

მეფე მდიდრების და მემამულეების ინტერესების დამცველია.

იგი თოფითა და მახვილით უმასპინძლდება მუშებს კაპიტალისტებთან ბრძოლის გულისთვის.

მეფეს სძულს მუშები.

რომ მეფეს ბატონობა წაართვა, მემამულეებს მიწები და კაპიტალისტებს ფაბრიკა-ქარხნები ამისთვის საჭიროა მუშების რევოლიუციონურ ორგანიზაციებში ჩამოყალიბება და იარაღით ხელში დამხობა მტარვალთა ტახტის.

გარეშე რევოლიუციისა მუშათა კლასი თავისუფლებას ვერ მოიპოვებს.

ეს ახალი ამბავი არ არის. ეს გვასწავლა და გვიანდერძა ჩვენ მარქსიზმის დიდმა მასწავლებელმა კ. **მარქსმა.**

მხოლოდ მენშევიკები არ ადგიან ამ გზას. ისინი ლაქიობაში და ლაქუცობაში ეძებენ ხსნას.

ამ ლაქიობით ისარგებლა სწორეთ ინგლისის ბურჟუაზიამ და სახელმწიფოს სათავეში წამოსკუპდა მენშევიკი მაკდონალდი.

რათ?

რევოლიუციის საფრთხობელად.

დიახ, მაკდონალდი აფრთხობს რევოლიუციას.

ბურჟუები ოხერი ხალხია.

მაგრამ მასთან ერთად ჭკვიანი.

ინგლისში, როგორც სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში, უკანასკნელ ხანებში რევოლიუციონური მოძრაობა დღითი-დღე იზრდებოდა. მოსალოდნელი იყო კოროლის ტახტიდან ჩამოგდება.

მაშინ მუშები ძალაუფლებას საკუთარ ხელში ჩაიგდებდენ.

შექმნიდენ მუშებისა და გლეხების საბჭოებს. მემამულეებს მიწებს ჩამოართმევდენ; კაპიტალისტებს ქარხანა-ფაბრიკებს.

ეს კარგად იცოდა ინგლისის ბურჟუაზიამ, ამიტომ მან მრავალ ხერხს მიმართა რევოლიუციის ცეცხლის შესანელებლად. ერთი ასეთი ხერხთაგანი არის მუშების ცოტად თუ ბევრად შეღავათიან პირობებში ჩაყენება.

ასე ექცევიან მხოლოდ ინგლისელ მუშას. ახალშენებში კი სხვაგვარ პოლიტიკას აწარმოებენ. ინგლისის ახალშენებში შავ კანიანი ხალხი ცხოვრობს. ეს ხალხი ძალიან ჩამორჩენილია.

ინგლისის კაპიტალისტიც სარგებლობს ამ მდგომარეობით და რაც შეუძლია ატყავებს ამ ბნელ ხალხს.

„ცხვარი ცხვარიაო და თუ გაცხარდა ცხარეაო"—ამ თქმის არ იყოს—შავკანიანებიც შეუგნებლები არიან, მაგრამ ზედმეტი მოთმინებიდან გამოსულები ისინიც მუდამ იარაღში არიან ჩასხმული. თითქმის ყოველ წლივ სისხლის ტბა სდგას ამ ახალშენებში.

იქ მომარაგებული თანხით ინგლისის კაპიტალისტი მეტს ხარჯავს თვით ინგლისში. ამ რიგად ათათბირებს მუშებს.

მეორე უკეთესი ხერხი მუშების დათათბირებისა ეს იყო სათავეში მაკდონალდის მოქცევა.

რაც უნდა იყოს მეორე ინტერნაციონალს დღესაც ბევრი მუშა უჭერს მხარს.

დღესაც ბევრი ყავთ მათ მოტყუებულნი. ეს მოტყუებული მუშები მთავრობის თავმჯდომარეთ რომ თავის წინამძღოლს დაინახვენ, რასაკვირველია, დროებით შეანელებენ თავის რევოლიუციონურ მოძრაობას.

ეს იცოდა ინგლისის ბურჟუაზიამ და სწორეთ ამიტომ აიყვანა ტახტზე სოციალ-დემოკრატი მაკდონალდი.

ეს არ არის სოციალ-დემოკრატების გამარჯვება. პირიქით ეს დამარცხებაა. შერცხვენა, გათახსირება და გაფუჭება.

მაგრამ ნათქვამია „ზოგი ჭირი მარგებელიაო" სწორეთ ასე გამოდის. მაკდონალდი, რომ მთავრობის თავმჯდომარე შეიქნა მუშებმა უფრო კარგად შესძლეს მისი ჭრელი გულის გარჩევა.

დღეს იქ მუშათა პარტია ერთ კორიანტელს აყენებს.

მან აიძულა მაკდონალდი ხელი მოეწერა საბჭოთა კავშირის და ინგლისის ხელშეკრულებაზე.

ამ ხელშეკრულების დამტკიცება არ სურთ მდიდრებს.

იგივე მუშათა პარტია იმუქრება ახალი არჩევნებით.

გარდა ამისა დღეს კარგად იციან მუშებმა, თუ ვინ არის მაკდონალდი. ეს ის ვაჟბატონია, რომელმაც ერთი ვაჭრიდან ავტომობილიც იჩუქა და ფულებიც ჩაიჩხრიალა ჯიბეში.

ამას ჩვენში ქრთამი ქვია, მაკდონალდისთანა ხალხს კი—მექრთამე.

უკეთესს მენშევიკური პარტია ვერ შობს.

მაკდონალდი რევოლიუციის საფრთხობელაა;

იგი ტიკინაა ბურჟუაზიის ხელში.

მისი პრემიერობა სრულიად არ ნიშნავს მენშევიკების გამარჯვებას.

იგი მდიდრებმა დასვეს, მდიდრებივე ჩამოაგდებს (თუ რომ მუშებმა დააცალეს) როდესაც მათვის საჭირო არ იქნება.

მაკდონალდის პრემიერობა მენშევიკების თავლაფის დასხმაა.

ქვეყანა დაჩაგრულებს ეკუთვნის.

ეს დაჩაგრულები მოუღებს ბოლოს ბურჟუაზიის მეფობას.

მათ ვერ იხსნის ვერც ფაშისტების და მენშევიკების ტახტზე წამოსკუპება.

წითელი ოქტომბერი ყველგან თავის დროშას აღმართავს.

ყველგან მუშათა და გლეხთა საბჭოები იქნება.

პ.—ძე.

ნ. დ. ს. ც ტირაჟი 1.500 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3. პასუხ-სმგებელი რედაქტორი—ა. ჩუხიძე